საქართველო

წლიწადი მეექვსე | პარასკევი, იანვრის 16 1920 წ. № 11 | ფასი 3 მან.

კინო პალასი | დიდებული დადგმა. საუცხოვო ანსამბლი:— ეკრანის ორი სიმშვენიერე

ელენე ლეონიდოვისა

(ცნობილი მარიამ მაგდალინელის სურათით)

ევა დორინგტონ

მხატვრულ სალონის დრამაში

ვნება და გამოცდა

5 ნაწილად

ცეკვა „შიშველისა“

ე. ლეონიდოვის შესრულებით

მუსიკ. ილუსტრ. ნ ხუდიაკოვისა

აპოლლო | სამშაბათიდან მხატვრული დადგმა 5 ნაწილად

ბინდების დედოფალი

ნათამაშევი პარიზის ოპერის მსახიობთაგან.

მთავარ როლში ულამაზესი მილლა მორიე.

დასასრულ სანახაობითი

კინო-თეატრი ოლღას ქუჩა № 3. **ფილმა** გაგრძელება გრანდიოზული დადგმისა

დღეს **ფილანტროპი** და **მეზღვაური სიმბადი**

ეპოქები 3 და 4 (6 ნაწ.)

გრაფ-მონტე-კრისტო

ა. დიუმას უკვდავ რომანით

ძმ. „პატეს“ ატელიეს გამოცემა.

პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

საქართველო

1920 წ. (წლიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი-კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო“ და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წერეთელთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძველოვთან, ძველ ბაზარში იოსებ გველესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. ლომბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე“-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ სპ. ბენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	ნახევარ წლით	სამი თვით
1000 მან.	600 მან.	300 მან.

მისამართი: თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

სამშაბათს, იანვრის 13, ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. სურამში გარდაიცვალა შავი ქვის მრეწველი

ილარიონ დავითის ძე გერიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის დედა მართა, დები ელისაბედ და მატრონე და ძმები: სოლომონ, გერასიმე, არისტო, გიორგი, პარმენ, არტემ და ივანე.

დაკრძალვა ქ. ხონში, შაბათს, იანვრის 17 ს. 2714 2—2

მწუხარებით გულ დათუთქულნი დედა ატატო, მეუღლე ოტინა და შვილები: კოწია, გოგი, ნინუცა და შალიკო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრივ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პირველი უსაყვარლესი შვილის, მეორე ძვირფასი მეუღლის და მესამეთათვის დაუვიწყარ მამის

სიმონ გიორგის ძე ორჯონიკიძისას

ცხედარი განსვენებული იქნება ქ. ზესტაფონიდან ს. ლახუნდარაში დღეს, 16 იანვარს, რომლის დაკრძალვაც ადგილობრივ მოხდება.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას იანვრის 16-ს

ქეთო და კოტე

„მეოცნებე ნიამორები“

წიგნი მესამე.

შინაარსი:

გ. რობაქიძე—ვასკა, ტ. ტაბიძე—ფატმან ხათუნი, შ. ამირეჯიბი—მწვანე კალი, ვ. გაფრინდაშვილი—ზამთრის დაისის გასვენება, კ. ნადირაძე—ყალბი ავტობიოგრაფია, ნ. მიწიშვილი—სიმგლოვიარო მარში, რ. გვეტაძე—სევდის ფერმანდი, შ. კარმელი—ბოდლერის ოფორტი, ს. ცირეკიძე—მოზაიკის ღვთისმშობელი, ს. კლდიაშვილი—ევა ქაბარეში, დია ჩიანელი—სევდიანი ფრაგმენტი, ვ. გაფრინდაშვილი—შენიშვნები ლირიკაზე, ს. ცირეკიძე—სათაური პოეზიაში და ლ. გუდიაშვილი—ყდა (ნიამორიბი)

რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

დრამატიულ საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია:

1) მიღება ახალ წევრთა
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) არჩევნები ახალ გამგეობისა
4) მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. 332 5—3

მიხეილის **ალკრე**

პლეხანოვის ქუჩა, 91.

ორშაბათიდან იანვრის 12-იდან თბილისში ჯერ არ დადგმული მხოლოდ მოზრდილთათვის

„ქალთა მოძულეთა კლუბი“

ორიგინალური კომედია 3 მოქ.

მთავარ როლებში ცნობილნი: ტატიან პავლოვა და მონახოვი მეტად პიკანტური და მახვილი

ნიაგარის ტალღების ნიშა მშვენიერი დრამა 2 ნაწ.

ინგლისური ბოქსი სასპორტო სანახაობით

დასაწყისი საღ. 5 ს.



ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

დღის 1 ლ საათიდან 5 დის

სადილები

რუმინული ორკესტრი ანგელესკო

სალაქოთი ახალი პროგრამა

დასაწყისი 10 ს. პროგრამის დასაწყისი10 ს.

კონფერანსიე ნეჩაევი

იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

„შვილდოსანი“

მონაწილეობენ: შალვა ამირაჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კარმელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

ახლო მომავალში იხსნება

პირველი ქართული საბავშვო ბაღი

(ქ-ნ მონტესორის სისტემით.)

მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები 3-დან 7 წლამდის. ჩაწერა და ცნობების მიღება მარიამ ერისთავთან მამადავითის ქ. № 36. ტელეფ. 21—23.

მოითხოვეთ ყველგან

უმაღლეს ხარისხის

კონიაკი და არაყი

ი. მ. ლაზარევის

თბილისი კიროჩ. ქ. № 19. 305—20—18

ქართული სამუსიკო სკოლა
ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა

მისაღები გამოცდა: როიალის, სიმღერის, ვიოლონჩელის, სკრიპკის, ჩასაბერ ინსტრუმენტების და თეორიის კლასში დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის.

მასწავლებლებად ითვლებიან როიალის კლასში.

1) მ. მ. ავალიანი, 2) თავ. ხელ. ე. გ. აბელაშვილი ყარანგოზიშვილისა, 3) ო. მ. ბერგ-პივო-ვაროვისა, 4) თავ. ხელ. ლ. დ. ვოლგმანის, 5) თავ. ხელ. ს. ს. კარაკაშ, 6) ნ. ვ. კალაშნიკოვასი, 7) თავ. ხელ. ე. გ. ქიქოძე, 8) ე. ი. პოლტარაცკაია-შადატოვისა, 9) თავ. ხელ. რ. ე. ხოსროევისა.

ვიოლონის (სკრიპკის) კლასში.

1) თავ. ხელ. ა. ნ. ყარაშვილი, 2) თავ. ხელ. ი. ი. ფიშბერგი, 3) თავ. ხელ. ვ. ა. მეტელნიკოვისა.

სიმღერების კლასში

1) ა. ი. ჯაყელისა, 2) ვ. ი. კირილოვისა, 3) რ. ნ. პოლიაევი, 4) პროფესორი ე. კ. რიადნოვი, 5) ო. ა. შულგინა.

ჩასაბერ ინსტრუმენტების კლასში

ფლეიტის კლ.—ფიდელმანი, გობოის კლ.—ა. ი. გროშევი, კლორნეტის კლ. ფაინერი, ფაგოტას კლ,—ნაიმანი.

საოპერო სტუდიის კლასში.

ს. ა. სტოლერმანი. მასწავლებლად ითვლებიან თეორიის და კომპოზიციის კლასში. თავ. ხელ. ი. ს. აბაშიძე (ქართ. განყოფილება). დ. ე. არაყიშვილი (რუსული განყოფილება) სხვა სპეციალურ საგნებისათვის მოწვეულნი არიან ახალი მასწავლებლები. დგება საოპეროკლასი. სწავლა დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დროიდან.ჩვეულებრივი

ქართული კლუბი

კვირას 18 იანვარს

თბილისის ქართველ მსახიობთა საუკეთესო ანსამბლით გაიმართება დიდი მხიარული სალამო, წარმოდგენილი იქნება

I

აშენდა საქართველო

სცენები სამ მოქმ. ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან კ. ფოცხვერაშვილისა

II

სიმართლე

ხუმრობა ერთ მოქმედებათ თარგ. მ. ქორელისა

მონაწილეობენ: ი. წუწუნავა, მ. ქორელი, ა. არაბიძე, ა. ჟორჟოლიანი ი. ჭიაურელი ო. ე. ციმაკურიძე, მ. მიქელაძე ხანდალა და სხვა.

ბილეთების შეძენა ამ თავითვე შეიძლება კლუბის კასაში. კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

ქართული კლუბი

შაბათს იანვრის 17-ს.

საოჯახო სალამო მამასახლის ნ. ერისთავის.

თეატრში გაიმართება

ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად

დიდი საზეიმო სალამო

მონაწილეობენ: ივ. გომართელი, ი. მაჭავარიანი, ნ. ერისთავი და სხ.

სასადილოში **კონცერტი**

მარო თარხნიშვილის გუნდი ნეაპოლიტანის კაპელა.

დაწვრილებით ხვალ.

სალამოს გამგე—**ნ. ერისთავი.**

კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

სეზონის სიახლე

სულ ახლახან **ინგლისიდან** მიღებული მხატვრული დრამა 5 მოქ.

პატიოსნებისა და დიდებისათვის

პირველად თბილისში

სეანსების დასაწყისი: საღამოს 5 საათიდან.

საქართველო და კონფედერაცია.

აგერ ერთი ხანია მოხშირებით ალაპარაკდა პრესსაცა და საზოგადოებრივი აზრიც ეგრედ-წოდებული „ამიერ-კავკასიის“ რესპუბლიკათა კონფედერაციის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ალაპარაკდა და ვერც ფორმა და ვერც არსება მცნებისა ვერ შეითვისა.

და ეს გარემოება ადვილი ასახსნელია. ერთი მხრით ამ კითხვას უკავშირებდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოთა აღიარებას ევროპის მიერ და ყველა დარწმუნებული იყო, რომ უკეთუ კონფედერატიული ფორმა არ მიეცემოდა ახლად მოსილსა თუ აღდგარ სახელმწიფოთა ურთიერთობას, ამათი ცნობა შეუძლებელი იქნებოდა.

მეორეს მხრით კიდევ ყველას ახსოვდა სულ ახლო წარსულის გაკვეთილები და მართლაც ძნელი იყო კვლავ ისეთ ფორმების წარმოდგენა, რომელიც ხალხს კონგლომერატულ სეიმისა

დღეს:

ირკუტსკში ქალაქის ქუჩებზე ცხარე ბრძოლაა.
ბოლშევიკები წინსვლას განაგრძობენ.

წერილები:

მეთაური საქართველო და კონფედერაცია.
ტ. მ.—სადღეისოდ.
ივ. ზურაბიშვილი—ქაჯი.

და ამიერ-კავკასიის პრობლემატიურ პოლიტიკურ ცენტრის პერსპექტივებს დაუსახავდა.

ანტანტის სახელმწიფოებმა ჩვენ უკვე გვიცნეს სუვერენულ სახელმწიფოდ; გერმანიას, ავსტრო-ჰუნგრეთსა (რა გეოგრაფიული სახეც არ უნდა მიიღოს უკანასკნელმა), ბულგარეთს და ცენტრალურ კოალიციის დანარჩენ წევრებს აღარა აქვთ საბუთი უკან წაიღონ თვის მიერ ჩვენი ცნობა; ნეიტრალურ სახელმწიფოთა დადებითი შეხედულობა ამ საგანზე ჩვენ ვიცით; რაც არ უნდა მოხდეს რუსეთში, იგი, როგორც ერთი მერცხალი, გაზაფხულს (გინდ შემოდგომას) ვერ დაგვიყენებს, ვინაიდან საერთაშორისო კონცერტებში მეუდაბნოვედ დარჩენა მისივე ინტერესების წინააღმდეგ იქნება: თვით ქართველ ერში სუვერენულად არსებობის კითხვა არ არის არც რუსეთის რევოლიუციისა, მაისის 26 ისა და არც იანვრის 12-ის შედეგი.

ეს არის პირდაპირი ნაყოფი ისტორიული სწრაფვისა და ეროვნული იდეისა. მაშასადამე, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ როგორც ყოველი არსებობის ღირსი ერისათვის, ისე ქართველობისათვისაც, მას შემდეგ, რაც მან გარდამავალ ხანაში კულტურული და უფლებრივი სახელმწიფოს აშენება მოახერხა, აღარ არსებობს წარმოდგენა თვისი არსებობისა, თვინიერ სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტისა. ამიტომ არის, რომ ვერც ქართულმა პრესამ, ვერც ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა და ვერც ქართველმა დემოკრატიამ ვერ შეითვისა მცნება და შინაარსი კონფედერაციისა. რა უყოთ, რომ ისეთ რუსეთუმე გაზეთებში, რომლებშიდაც უცხო, ყოველივე ქართულისაგან გამიჯნული და შეკრული ბარგით ხელში, რუსეთში წასასვლელად განმზადებული ელემენტები გუნდრუკს უკმევენ ჩვენი არსებობის ამგვარ პოლიტიკურ ფორმებს საქართველოც, აზერბაიჯანიცა და სომხეთიც მათს შემეცნებაში და ფსიქოლოგიაში წარმოუდგენელია დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულებად. იმათთვის ადვილია განყენებული მოტივაცია როგორც კონფედერაციისა, ისე ფედერაციისა და შემდეგ სრული პოლიტიკური ცენტრალიზაციისა და ცხადია, რომ პირველსაც და მეორესაც მხოლოდ გარდამავალ საფეხურის როლს აკუთვნებენ.

მთლიანი ქართველი ერი კი მთელს თავის გრძნობას, ნებასა და გონებას მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს ფაქტს ჩაუქსოვს და მას შეალევს. საქართველოს ერის ფსიქიკაში ასეთი გარდატეხვა მომხდარი ფაქტია და ამიერიდან მაინც ვერავითარი აბსტრაქცია ვერ შესძლებს რეალურ ინტერესების დაჩრდილვას.

საერთოდ შეუძლებელია კავკასიის ერთა რომელიმე ერთ ორგანიულ პოლიტიკურ სხეულად აგება. ერთობ სხვა და სხვა ხასიათისაა მათი ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული, რასიული, ეროვნული, სარწმუნოებრივი და პოლიტიკურ ეკონომიური თვისებანი. თვით სიტყვა „ამიერ-კავკასია“ რუსული მოგონებაა და მას არა აქვს რაიმე რეალური საფუძველი. როგორც არა ნორმალური და მონობის გამახსენებელი ტერმინი—„ამიერ-კავკასია“ უნდა წარიშალოს ჩვენი ხსენებიდან. მასზე რაიმე სახელმწიფოებრივ ერთეულის აგება შეუძლებელია და ეხლა მასზე კონფედერატიულ ან ფედერატიულ სპეკულიაციის წარმოება პირწმინდა ავანტიურა იქნებოდა. ეს იმას არ ნიშნავს კიდევ, რომ საქართველო ჩაიმწყვდევა თვის ოთხ კედელში და არც ერთ მეზობელ სახელმწიფოს არავითარი კავშირით არ შეეკვრის. აზერბაიჯანთან დადებული სამხედრო ხელშეკრულობა მარტივი მაგალითია ამისა და მომავალშიაც გამოინახება ისეთი ფორმები კავკასიის ერთა ურთიერთობისა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ხელუხლებლად დასტოვებენ თვითეულ სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს, მაგრამ დაამყარებენ ჭეშმარიტ მეგობრულ განწყობილებას მათ შორის. ამ შემთხვევაში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დამყარდა კიდეც ნამდვილი მეგობრული და მეზობლური ურთიერთობა. ბევრი ზომები იქმნა მიღებული სომხეთის გულის მოსაგებად ჩვენი და აზერბაიჯანის მთავრობათა მიერ, მაგრამ, როგორცა სჩანს, სომხეთთან სულ სხვა ნაირი არაჩვეულებრივი სალაპარაკო ენა ყოფილა საჭირო, ვიდრე მიღებულია საერთაშორისო ნორმების მიერ. აი თუნდაც „არაჩის“ უკანასკნელი წერილი, რომელშიაც გაზეთი გაღმა გვედავება ჩვენცა და აზერბაიჯანსაც, იმ იმედით, რომ გამოღმა რამე შეირჩინოს. განა წარმოსადგენია სახელმწიფოთა ურთიერთობაში ისეთი ვაჭრული გზით სიარული, როგორც ამას სომხური პრესა სჩადის? ყოველ შემთხვევაში აწი მაინც უნდა დარწმუნდნენ, რომ წააგეს პოლიტიკაში და სრული იზოლაცია უყვეს სომხის ერს დაშნაკცაკანებმა, რაც არც თუ ისე ხელსაყრელია თვით სომხის ერისათვის. ამმარტო ჩვენ ვხედავთ, რომ აი თუნდაც გარდა სომხეთის კითხვა ყოვლად შეუძლებლადა ხდის „ამიერ-კავკასიურ“ ფედერაციაზე ან კონფედერაციაზე ლაპარაკს. მათ სულ სხვა მიზნები აქვთ სულ სხვა გზები, ჩვენ კი სხვა.

საქართველომ მთელი თავისი ქონებრივი და გონებრივი ენერგია დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის ძიებას მოანდომა და მისი ამ გზებიდან აცდენა დიდი უბედურობის მომტანი შეიქნება.

სადღეისოდ

იანვრის 12-დან ჩვენი შინაგანი ვითარება ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობასთან ერთად შეიცვალა. ჩვენ გვაწევს დიდი პასუხისმგებლობა, როგორც ერს, რომელიც თავისი მდგომარეობით შენაწევრებულია ერთა ოჯახთან. ამ უკანასკნელს მოთხოვნილებანი უეჭველია ჩვენს სამოქმედო სფეროსთანაც უფრო დაახლოვებულია, რაც იმის მომასწავებელია, რომ საქართველო ყოველ წუთისთვის მზად უნდა იყოს ღირსეული პასუხი გასცეს თავის ახალ მდგომარეობას ამ საერთაშორისო ვითარებით წარმოშობილ ახალ გარემოებათა სირთულეს. საერთაშორისო მოვლენანი გვერდზე კი აღარ ჩაგვივლის, როგორც აქამომდე იყო, არამედ პირდაპირ დაგვეჯახება; მას ჩვენც პირის პირ უნდა შევხვდეთ ჩვენი ღირსებისა, მომზადებისა და სახელმწიფოს სიმტკიცის იმედით. საქართველოს მოქალაქეთ უნდა გვახსოვდეს, რომ იმ მძიმე პასუხისმგებლობაში, რომელსაც გვაკისრებს ჩვენი ახალი საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენ გვმართებს ყველა სამოქმედო ძალთა გაერთიანება ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. რასაც დღემდე შემთხვევით ვაკეთებდით, მას უნდა მიეცეს მეთოდიური ხასიათი.

პირველ რიგში უსათუოდ ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ მხრივ სახელმწიფო ბანკის ამუშავების დაჩქარება ხელს შეუწყობს ჩვენი ვალიუტის საკითხის გადაჭრას, რადგან დღეის შემდეგ ჩვენი ფულის ტრიალის ასპარეზი ხელოვნურად დახშული არ იქნება რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებით, როგორც აქამომდე იყო, არამედ როგორც ფული სუვერენულისა და უფლება სწორ სახელმწიფოსი, თავისუფლად იტრიალებს მსოფლიო ბაზარზეც; ეს გარემოება უაღრესად დიდმნიშვნელოვანია მომავალ ეკონომიურსა და ფინანსიურ პოლიტიკისთვის. ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ახლო მომავალში უცილობლად უნდა დამყარდეს ჩვენსა და ევროპის ძლიერ ქვეყნებ შორის ისე მოხერხებულად, სახელმწიფოებრივის ხელოვნებით (staats kunst) უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენი ხაზინაც და სახალხო მეურნეობაც სწრაფად დაწინაურდეს. მხოლოდ თანდათანობით შევსძლებთ ნამდვილ ვალიუტის შექმნას. მაგრამ სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგებას ხელს უნდა უწყობდეს მისი შინაგანი აპარატის მიზანშეწონილი მუშაობაც. თუ შინაგანი ორგანიზაცია სუსტი იქნება, თითქმის შეუძლებელი გახდება ეკონომიურ პოლიტიკის სწორი გზის დაჭერა. ამ მხრივ უნდა გაასკეცდეს მუშაობა ჩვენს ერობებსა და საქალაქო თვითმართველობებში და შეიქმნეს ნორმალური პირობები ქვეყნის ადმინისტრატიულ მართველობისაც.

პირველივე რიგში დგება საკითხი ჩვენი საზღვრების შესახებ, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის ისეთ დიდი დარგისათვის, როგორიცა არის მეცხვარეობა და მესაქონლეობა. მაგრამ კიდევ უაღრესი მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნის დაცვისა და იმ წესისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის, რომლის საბოლოოდ გამტკიცების საქმეს უნდა შეეწიროს მსხვერპლად ყოველი მოქალაქის ძალღონე.

დემოკრატიული საქართველო უნდა მოირთოს ისეთ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციით, რომელიც მტკიცე და მედგარი იქნება როგორც მთლიანი ერთეული და ამავე დროს თვითმოქმედი თავის ნაწილებში.

დემოკრატიული საქართველო უნდა გამტკიცდეს და საბოლოოდ დამაგრდეს შინაგანს და თავის ბუნებრივ საზღვრებზე ისე, რომ, ადგილი აღარ ჰქონდეს ისტორიულ წარსულში ნაცად მძიმე განცდას.

ამ მძიმე საქმეში ვინც ჩვენთან არ იქნება, ის ჩვენს წინააღმდეგ არის.

მტერია სამშობლოსი ის, ვინც ხელს არ შეუწყობს თავისი ძალღონით საქართველოს მრავალ ტანჯული ხალხისა მოქმედ ძალთა ერთი მიზნისათვის გაერთიანებას. მთავრობა ვალდებულია, რომ სათანადო ტონისა და ტაქტის გამოძებნითა შემოიკრიბოს ყველა მოქმედი ელემენტები და ამით გაუადვილდეს ხალხს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის მძიმე შრომას გაწევა.

მოვალეობაა ყოველ მოქალაქისა და ყოველი წრისა ყოველგვარი საშუალებით დაეხმაროს ხალხისა და ქვეყნის მოამაგეთა, რომ თავისუფალ სახელმწიფოს ბეჯით ნიადაგზე აგებით შეიქმნეს საქართველოს ისტორიაში მეორე და ხანგრძლივი ოქროს ხანა.

ტ. მ.

საქართველოს მთავრობის სამადლობელი პასუხი ანტანტისადმი

ლონდონი. საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს.

საქართველოს ხალხმა უღრმეს კმაყოფილებით და არა-ჩვეულებრივ სიხარულით მიიღო უმაღლეს საბჭოს ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. რესპუბლიკის მთავრობა გიძღვნით მხურვალე მადლობას თქვენ მიერ გამოჩენილ ინიციატივისათვის ამ აქტში, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთად იგი გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ ენერგიული დახმარება თქვენ მიერ აღმოჩენილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინებისთვის, გახდება ნამდვილ სტიმულად იმ ჭეშმარიტსა და მეგობრულ ურთიერთობისა რომელიც დამყარდა დიდ ბრიტანიისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი გეგეჭკორი.**

პარიზში

საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს.

მთელი საქართველო და მისი მთავრობა უდიდეს კმაყოფილების გრძნობით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის ცნობას.

მოგიძღვნით რა ჩვენს მადლობას ამ უდიდეს აქტისთვის, რომელიც გამოხატავს ნდობას ქართველ ერის შემოქმედებითი ძალებისადმი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სრულიად დარწმუნებულია რომ ქართველი ერი, რომელიც საუკუნებია, რაც დარაჯად უდგია ევროპის წინა კარზე განათლებულ ქვეყნების აგრესიულ მიმართულებათ, მოკავშირე სახელმწიფოთა დახმარებით შესძლებს დაამყაროს მჭიდრო კავშირი ევროპასთან და გახდება წევრი იმ დიდ ოჯახის, რომელმაც ამ მძიმე მომენტში გამოუწოდა მას დახმარების ხელი.

დამფუძნებელი კრება

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო

იანვრის 14-ს სხდომა.

იანვრის 14-ს, ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით მოხდა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ინგლისის წარმომადგენელი ოლივერ უორდროპი, საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი, იტალიის წარმომადგენელი—გაბბა, წარმომადგენელი მისიებისა: საბერძნეთის, პოლონეთის, ფინლიანდიის, ლიტვის, უკრაინის, ადერბაიჯანის და სომხეთის, სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ბევრი სტუმრები და დიდძალი გარეშე საზოგადოება.

თავმჯდომარე: სხდომა გახსნილია. როდესაც დამფუძნებელი კრება ორი კვირით სწყვეტდა თავის მუშაობას, სათანადო დადგენილებაში შეტანილ იქნა ერთი მუხლი, რომლის ძალით თქვენს პრეზიდიუმს ევალებოდა თუ საჭიროდ დაინახავდა, თუ ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, მოეწვია დამფუძნებელი კრების სხდომა. ეს მომენტი, რომელსაც განიცდის ეხლა მთელი ჩვენი ერი, სამშობლო, პრეზიდიუმის აზრით ასეთი მომენტი, იყო და არის, რომ არ შეიძლებოდა დამფუძნებელი კრების პლენუმი არ მოწვია. თუ რა მოხდა, დაწვრილებით ამის შესახებ მთავრობის განცხადებას მოისმენთ, მხოლოდ ეს მცირეოდენი ახსნა განმარტება პრეზიდიუმმა დამავალა მე მომეხსენებინა თქვენთვის ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ დღეს არის მოწვეული საგანგებო სხდომა დამფ. კრებისა.

სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა.

ნოე ჟორდანიას გამოსვლას მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით ხვდება.

„მოქალაქენო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მოგილოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხის გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუალოთ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალღონეს.

და ეს დიადი ისტორიული მოვლენა მოახდინა ერთმა გარემოებამ: საქართველოს ხალხის ერთსულოვანი გამოსვლამ და ერთი აზრის, ერთი დროშის ქვეშ ერთხმად თავის მოყრამ.

საქართველო ამ ასი წლის წინად დასცა ფეოდალურმა განხეთქილებამ, საქართველო დღეს აღადგინა დემოკრატიის თანხმობამ.

საქართველო დაცემის დროს არ არსებობდა, როგორც ერთი მთელი, ჭირში და ლხინში განუყრელი, მეფეებმა ვერ შექმნეს ერთი მთლიანი სამშობლო.

საქართველო დღეს—აღდგენის დროს წარმოადგენს ერთ ორგანიულათ შედუღებულ სხეულს, ჭირში და ლხინში განუყრელს; დემოკრატიამ შექმნა ერთი მთლიანი სამშობლო.

საქართველოს დაცემით დაეცა ტახტი, დაეცა ფეოდალთა უფლება.

საქართველოს აღდგენით აღსდგა ხალხი, დამტკიცდა დემოკრატიის უფლება.

ხალხმა დაიბრუნა ის, რაც დაკარგა მეფეებმა—თავისუფლება და შექმნა ხალხის სახელმწიფო, ხალხის წყობილება. ხალხის მმართველობა.

ასეთია, ბატონებო, ახალი საქართველო. და ის წარსდგა ევროპის წინაშე მსჯავრის მისაღებათ. წარვსდექით არა მოწყალებისათვის, არამედ უფლებისათვის. (ხანგრძლივი ტაში). და მათ გვკითხეს—რა რომ მოგაქვთ, ჩვენ უპასუხეთ: მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა, მოგვაქვს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატ. შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის ყურეში ჩვენ არ ვართ სამანდატო, საპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატიორი, ჩვენი ოპეკუნი, თვისი თავის ბატონი. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები) და ეს ჩვენ დავასაბუთეთ არა სიტყვით, არა კეთილი სურვილებით, არამედ საქმით, სახელმწიფოს შეუწყვეტელი შენებით.

და ეს ჩვენი სიტყვა და საქმე პირველ ყოვლისა იწამა ევროპის მუშათა დემოკრატიამ და ლიუცერნში გამოგვაცხადა დამოუკიდებელ საქართველოთ. (ტაში). და აი ეხლა, რამოდენიმე თვის შემდეგ, ეს იწამა მმართველმა კლასებმაც და ის დაადასტურა პარიზის კონფერენციამ. შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ევროპის ხალხთა შორის არ მომხდარა ისეთი შეთანხმება როგორიც მოხდა საქართველოს შესახებ.

იქ ლიუცერნში თავი მოიყარა მუშებმა, აქ პარიზში თავი მოიყარა სახელმწიფოებმა, ჩვენს შესახებ ერთი ენით ალაპარაკდა ყველა კლასი, პარტია, ერები.

აქ არის დიდი ბრიტანია—სამშობლო კულტურის, დიდი წარმოების და თავისუფალი მრეწველობისა.

აქ არის საფრანგეთი—სამშობლო დიდი რევოლიუციისა და პირველი მოციქული ადამიანის უფლებებისა.

აქ არის შეერთებული შტატები—სამშობლო დიადი დემოკრატიისა და პოლიტიკური შემოქმედებისა.

აქ არის მშვენიერი იტალია—ეს ცოცხალი ხიდი ძველი და ახალი ცივილიზაციისა, ისეთი ცხელი მზით და მკვირცხალი ხალხით, როგორც ჩვენი მზე და ჩვენი ხალხია. აი ამათ ჩვენი გაწვდილი ხელი მეგობრულათ ჩამოგვართვეს და ახლად შობილი სახელმწიფოს მიმრქმელის როლი იტვირთეს.

ბატონებო! გვაქვს საფუძველი სიამაყისა. მოხდა იშვიათი ამბავი. მთელმა ევროპამ განურჩევლათ პარტიისა და კლასისა, ერთხმათ გვითხრა: კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს შენი მობრძანება და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით—გავხდეთ ნამდვილი ევროპიელი.

და ამას გავამართლებთ თუ ჩვენ შემდეგშიაც ვაწარმოებთ იმ პოლიტიკას, რომელსაც ვაწარმოებდით დღემდე, თუ ჩვენ არ გადავსცდებით იმ გზას, რომელზედაც ვიდოდით დღევანდლამდის.

ჩვენს ირგვლივ ხდება და მოხდება დიადი ამბები, ჩვენ გვმართებს დიდი სიმაგრე, დიდი დაფიქრება, რომ ერთხელ არჩეულ გზიდან არ გადაგვაცდინონ. თქვენ იცით, რომ ჩვენ სამარი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა. ჩვენ გადაჭრით უარი უთხარით ჩვენი პასუხი წაკითხული გექნებათ.

რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი გაწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისინი ახალ მოკავშირეებს ეძებენ.

დასავლეთი თუ აღმოსავლეთი—აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია, ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს და თუ ბოლშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე.

როგორც ხედავთ საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარენ, ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი მტრები აყვირდებიან—იმპერიალისტებს ემხრობითო. მიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა. მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს. (ხანგრძლივი ტაში).

ბატონებო, ნუ დაგავიწყდებათ მეცნიერების ანბანი ნუ დავანებებთ ვინმეს ფრაზებით გაგვაყრუოს და დავთარი დაგვიბნიოს. ხოლო ანბანია ის, რომ მუშა ხალხი მთელს თავის იმედს ამყარებს კულტურაზე და არა ბარბაროსობაზე, იმ მემკვიდრეს კაპიტალისტური წყობილების და არა აზიური კარჩაკეტილობის, ის სიმდიდრე, რაც მან შექმნა იმპერიალისტების ხელმძღვანელობით, უნდა გადავიდეს მის სრულ განკარგულებაში. ის სავსებით ადგა ევროპის წარმოების და იდეების ნიადაგზე, და აი ჩვენ, ბატონებო, გვეძახიან ბარბაროსობისაკენ, არა, ჩვენ იქით ვერ წავალთ, თუნდაც ეს მეტად მარცხნით იყოს წასასვლელი, პირიქით. ჩვენ უნდა შევსძახოთ საბჭოთა რუსეთს—დაბრუნდით უკან, ევროპისაკენ, შეითვისეთ დემოკრატია, გახდით ევროპელი ერი.

ბატონებო, პოლიტიკა გაიზომება მასი შედეგებით, საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს და ჩვენს პოლიტიკას, ჩვენ მიერ არჩეულ გზას თავიდანვე მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

მან გადაგვარჩინა ფრონტიდან გამოქცეული ჯარების აკლებას.

მან გვიხსნა ოსმალთა დაპყრობისაგან.

მან აგვაცდინა შინაური ხოცვა-ჟლეტა და ანარქია.

მან შეგვინარჩუნა რევოლიუციის ყველა მონაპოვარი.

მან აგვაშორა საგარეო ავანტიურები, მოგვცა მეზობელ ერთა კავშირი.

მან შეგვიყვანა საერთაშორისო ოჯახში.

ამ ნაცად გზას ჩვენ ვერ გადაუხვევთ, და მის დასაცავად მომხდურთ იარაღით შევებრძოლებით.

ჩვენ დავიცავთ ჩვენს თავს, ჩვენს საზღვრებს. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებით“.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას! (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

თავმჯდომარე. მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო!

აღსრულდა!

ტყვეთ ქმნილი საქართველო დღეს ბორკილ გაწყვეტილი თამამად შედის ევროპის ხალხთა საერთო ოჯახში, ვით სრულ უფლებიანი წევრი.

1801 წლის 11 იანვარს თავისუფალ საქართველოს ბორკილი დაადევს, 1920 წ. 11 იანვარს ევროპის სახელმწიფოს მესვეურებმა თავიანთ დემოკრატიის სურვილისამებრ გადაწყვიტეს—საქართველო და მისი ხალხი ღირსია იმისი, რომ ეს უსამართლობა მოისპოს და ბორკილები აეყაროს მას.

საუკუნოებრივი მისწრაფებანი ქართველი ერისა ევროპაში გზა გაეკაფა, გაედო ხიდი ურყეველი, ეს დღეს შესრულებული არის. ქართველმა დემოკრატიამ, საქართველოს ხალხმა განახორციელა ერთი დიადი პრინციპთაგანი, რომლისათვისაც იბრძოდა და დღესაც იბრძვის საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა—ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც საქართველოს დემოკრატიამ გამოსახა ყველა იმაში, რის მოწმენი ვართ დღეს. მართალია, თვითგამორკვევა საქართველოს ხალხის, ერის შესაძლებელი იყო მომხდარიყო სხვა პირობებში, მაგრამ ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის იმის წინაშე, რომ ეს ასე მოხდა. საქართველოს დემოკრატიას და მისი დამფუძნებელ კრებას, რასაკვირველია, არ შეუძლიანთ რომ დღეს თავიანთი მხურვალე სალამით არ მიეგებონ იმათ, ვინც ამ ზეიმის უპირველესი მიზეზი არიან. თქვენის ნებართვით მე სალამს ვუძღვნი მოკავშირეთა უზენაეს ორგანოს და დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს, რომლის ინიციატივით აღძრულია ეს საკითხი და რომლის მხურვალე დახმარებით საქართველოს ერს ეღირსა დღევანდელი დღე (მხურვალე ტაში).

დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ ინგლისის წარმომადგენელს ბ. უორდროპს.

ჩვენი სალამი ამერიკის ხალხს. ამერიკის დემოკრატიას, ამერიკის სახელმწიფოს, რომლის დახმარება, თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო და რომელიც ამ საკითხში ერთად იყო დიდ ბრიტანეთთან (ტაში და ოვაციები).

სალამი, მოქალაქენო საფრანგეთს და მის ხალხს, (ტაში და ოვაციები) სალამი და გამარჯვება თავის მისწრაფებაში იტალიის თავისუფალ ხალხს. (ტაში და ოვაციები) სალამი საბერძნეთის ხალხს და მის დემოკრატიას (ტაში და ოვაციები).

სალამი იაპონიას, ამ ევროპის ცივილიზაციის თავდადებულ გამტარებელს აზიის ქვეყნებში (ტაში და ოვაციები).

სალამი ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელთა გადაჭრითი ხმა ჯერ არ მოგვსვლია, მაგრამ დარწმუნებული ვარო, რომ არ დაყოვნდება მათი დასტური საქართველოს დამოუკიდებლობაზე (მხურვალე ტაში).

მხურვალე სალამი და მილოცვა ადერბეიჯანის დემოკრატიას (ტაში და ოვაციები).

ჩვენი გულითადი სალამი სომხეთის მრავალ ტანჯულ ხალხს (ტაში და ოვაციები). ჩვენ აღსავსენი ვართ იმედით, რომ სომხეთის რესპუბლიკა დღეს თუ არა ხვალ გადაიქცევა ბუდეთ იმ ზეიმისა და სიხარულისა, რომელსაც განიცდის დღეს საქართველოს ერი. (ტაში).

ჩვენი სალამი და გამარჯვება მთიელთა ხალხ, რომელიც დღეს თავისუფლებისათვის სისხლს ღვრის (მხურვალე ტაში და ოვაციები).

გაუმარჯოს, მოქალაქენო, თავისუფალ საქართველოს.

გაუმარჯოს ევროპის თავისუფალ ხალხთა თავისუფალ ოჯახს!

გაუმარჯოს ჩვენს დღესასწაულს!

გაუმარჯოს 12 იანვარს! (მხურვალე ტაში და ოვაციები).

(დასასრული იქნება).

ნადიმი მისტერ ოლივერ უორდროპთან

იანვრის 14 ს ბრიტანიის უმაღლეს კომისარ მისტერ ოლივერ უორდროპმა საზეიმო ნადიმი გადახადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლად აღიარების გამო. ნადიმი დაიწყო საღამოს 8 ნახ. საათზე ნადიმს დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ჟორდანია, გარეშე საქმეთა მინისტრი ბ. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი ბ. ლორთქიფანიძე, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი ბ. რამიშვილი, ფინანსთა და ვაჭრობა-

მრეწველობის მინისტრი ბ. კანდელაკი, იუსტიციის მინისტრი ბ. არსენიძე, მიწად მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგნი ბბ. თაყაიშვილი და მდივანი. ქალაქის მოურავი ბ-ნი ჩხიკვიშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა გამგე პოლკ. მელიქიშვილი, გენ. ჯაფარიძე კაპ. მ. ორბელიანი საფრანგეთის დიპლომატიურ მისიის უფროსი მაიორი დე ნონანკური, იტალიის სამხედრო მისიის უფროსი პოლკ. გაბბა, საბერძნეთის დიპლომატიურ მისიის უფროსის მოადგილე, პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ოსტროვსკი, სპარსეთის გენერალური კონსული მირზა თამი ხან მოატი სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი, აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი.

პირველი სადღეგრძელო მისტერ-ოლივერ უორდროპმა მიირთო ინგლისის მეფის გეორგ 5-ისა შემდეგ მიირთო სადღეგრძელო საქართველოსი

საპასუხო სიტყვაში მისტერ-ოლივერ უორდროპს მიმართა მთავრობის თავმჯდომარემ ბ. ჟორდანიამ აღნიშნა რა ის დიდი როლი, რომელიც მიუძღვის მისტერ ოლივერ უორდროპს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში. შემდეგ დაილია სადღეგრძელოები აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებისა საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის, საბერძნეთის პოლონეთის მთავრობების. ნადიმზე უკრავდა საზანდარი. ნადიმმა ღამის 11 საათ. გასტანა. შემდეგ სახელმწიფო თეატრის არტისტებმა ი. სარაჯიშვილმა და ინაშვილმა შეასრულეს რომანსები და დუეტები.— ნადიმმა მეტად მხიარულად ჩაიარა.

ნადიმი ღამის 12 ს. დასრულდა.

უცხოეთი

სომხეთი

დაცემა გოხთანზე

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გულხანდონიანი დეპეშით ატყობინებს 12 იანვარს ერევნიდან სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს შემდეგს:

„დამატებით წინედ გამოგზავნილ ცნობისა, გთხოვთ დაუყონებლივ აცნობოთ მოკავშირეთა წარმომადგენლებს ამ წამს მიღებული შემოწმებული ცნობები. ნახიჩევანის და ორდუბადის თათრებმა, აზერბაიჯანის და ოსმალეთის აფიცრების ხალილბეის, ეგირბეის და სხვათა ხელმძღვანელობით, ქვემო აქულისის განადგურების შემდეგ, მთლად ამოჟლიტეს ზემო აქულისის მცხოვრებნი უკანასკნელ კაცამდის. ქვემო აქულისში დახოცილია 400 კაცი, ზემო აქულისში ათასი.

ყველა მცხოვრებნი მახვილზე არიან აგებულნი გარდა ოციოდე ლამაზი ქალებისა, რომლებიც დაირიგეს აფიცრებმა საჩუქრის სახით. მდიდრის ფანიანცის 16 წლის ქალიშვილი წაყვანილია ედგირ ბეის მიერ. ორივე აქულისის მცხოვრებნი მთლად იარაღ აყრილი იყვნენ, თავიდანვე იცნეს მათ აზერბაიჯანი და იცავდენ ნეიტრალიტეტს.

თათრების შეტევა გოხთანზე გრძელდება. გოხთანში ცოცხლად დარჩენილნი გიდასახლდნენ მეღრში. ქღლტა მოხდა 25 დეკემბერს. ზანგეზურის მცხოვრებნი ულრმესად აღშფოთებულნი არიან და მოითხოვენ რადიკალურ ზომების მიღებას ოსმალო აფიცრების, აზერბაიჯანელ ნახიჩევანის საერთო გუბერნატორის განდევნისა და ქალების დაბრუნებისათვის. დიდის ვაი ვაგლახით შესაძლებელი გახდა მცხოვრებთა დამშვიდება. შურნუხის გზატკეცილის გახსნის წინადადებაზე თათრებმა მოითხოვეს დელეგაციის გაგზავნა. გაგზავნილი 5 დელეგატი მხეცურად მოჰკლეს.

მოკლულ არიან აგრეთვე დარაჯები, რომელნიც წავიდნენ მათ დასახსნელად; მათ მიეგებნენ ტყვიისმფრქვევლის სროლით შურნუხის (ბარგუშანის მიდამო?) თათრები".

ახალი სამინისტროები.

უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში პარლამენტში გავიდა კანონი ახალ სამინისტროთა დაარსების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სარკინიგზო განყოფილება გამოეყო ამ სამინისტროს და გზათა სამინისტროდ გადაკეთდა. მზრუნველობის სამინისტროსთან დაარსდა მიწათ მოქმედების სამინისტრო. დაარსდა სრულიად ახალი—შრომის სამინისტრო. თავისუფალი იყო იუსტიციის სამინისტროს პორტფელი, რომელიც წინად შინაგან საქმეთა მინისტრს ებარა, რომელიც ახლა „დაშნაკცუტიუნი"-ს პარტიის წევრს ჩილინგაროვს ჩააბარეს. შრომისა და მიწათ-მოქმედების პორთფელები ჯერ არვისთვის არ ჩაუბარებიათ.

სომხეთის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის შედგენილობა.

სომხეთის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა შესდგება 21 დაშნაკცაკანთაგან, 2 სახალხო პარტიულთაგან და 3 სოციალისტ-რევოლიუციონერთაგან,—სულ 26 კაცისაგან.

უპურობა.

გუმბრიდან დეპეშით ატყობინებენ ერევანს, რომ ფქვილის უქონლობისა გამო მცხოვრებნი ვერ ღებულობენ პურს და ითხოვენ, რომ მზრუნველობის სამინისტრომ მოახდინოს განკარგულება, რათა პურის ნაცვლად მიეცეს მცხოვრებთ ბრინჯი და ლობიო მზრუნველობის მინისტრმა უპასუხა რომ ომის შესახებ მიმართონ ამერიკის წარმომადგენელს რუზენსონს.

ინგლისი

დეპუტატი ო'გრედი.

„ტაიმსი" გადმოგვცემს ზოგიერთ ცნობებს დეპ. ო'გრედის შესახებ. ო'გრედის ამჟამად მოლაპარაკება ჰქონია ლიტვინოვთან კოპენჰაგენში. მისტერ ო'გრედი არის პარლამენტის წევრად 1906 წლიდან და ითვლება პოპულიარულ წინამძღოლად მუშათა მოძრაობის. ო'გრედის პირველი პროფესია ყოფილა დურგლობა. 1898 წელს ის დაინიშნა ტრედ—უნიონების კონგრესის თავმჯდომარედ, ხოლო 1917 წ. ტრედ-უნიონების გენერალურ ფედერაციის თავმჯდომარედ. ომის განმავლობაში დიდად იცავდა მოკავშირეების და 1914 წ. აპრილში სპეციალურად გაემგზავრა პეტროგრადში, ფრანკო—ბრიტანეთის დელეგაციის შემადგენლობის შორის, რუსეთის მუშების შესაერთებლად მოკავშირეთა ერთად სამუშაოდ. 1917 წელს მან კვლავ ინახულა რუსეთი, მას შემდეგ რაც პოლიტიკური გარდატეხა მოხდა.

შეთანხმებისათვის.

ლლოიდ-ჯორჯის და კლემანსოს შეხვედრა ნიტის განზრახვა პარიზში და ლონდონში გამგზავრების, ამტკიცებენ იმას, რომ ამ სახელმწიფოებს სურთ გამოძებნონ რამე გვარი საშუალება ურთიერთშორის შეთანხმების მოსახდენათ განსაკუთრებით ოსმალეთთან განზრახულ ხელშეკრულობის შესახებ.

სტამბოლში კიდეც სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და გაზეთებიც კი აცხადებენ უკვე დელეგატთა სახელებს, რომელთა თავმჯდომარედ უნდა იყოს ლონდონში ყოფილი დესპანი თევფიქ-ფაშა.

ოსმალეთის საკითხი უკვე მორიგე საკითხათ არის ქცეული.

„არ". № 5.

ავსტრია

ზალცბურგი და ბავარია.

ზალცბურგი ავსტრიის მესამე პროვინციას შეადგენს. ამჟამად ეს პროვინცია სულაც არ ჰფიქრობს ფორალბერგსავით გამოეყოს სრულიად ავსტრიას, მაგრამ მას უნდა ტიროლივით შევიდეს ბავარიის ეკონომიურ კავშირში.

ქრისტეშობისთვის 11-ს ზალცბურგის პროვინციის საბჭოს სხდომაზე შემდეგი გადაწყვეტილება მიიღეს.

„რადგან საჭიროა, აუცილებლად ქვეყნის სრულ განადგურებისგან გადარჩენა—მიჰმართონ ცენტრალურ მთავრობის საშუალებით პარიზის უმაღლეს საბჭოს, რათა იგი დასთანხმდეს ზალცბურგი ეკონომიურ ჩარეში მაინც შეუერთდეს ბავარიას". მცირე დებატებიდან გამოირკვა რომ ეს ეკონომიური კავშირი მომასწავებელი უნდა იყოს ზალცბურგის პოლიტიკურ შეერთებისა გერმანიასთან. როგორც გამოირკვა, მოკავშირენი ამ შეთანხმებას მხარს არ დაუჭერენ, რადგან ზალცბურგის შეერთებას ბავარიასთან ისეთივე ხასიათი აქვს, როგორც ტიროლს ჰქონდა.

იტალია

იტალიის პრესის პროტესტი.

იტალიის გაზეთები მედგარ პროტესტს აცხადებენ ინგლისის წინა-დ ადიბით ყოფილ ავსტრიის იმპერიის სახელმწიფოთა შორის საბაჟო შეთანხმების დამტკიცების წინააღმდეგ. გაზეთები აცხადებენ, რომ პირველი მაგალითი არ არის, რომ ინგლისს სურს დაიჭიროს პირველი ადგილი ავსტრიის ორგანიზაციათა შორის ხალხის ინტერესების განზე დატოვებით.

„არ" № 5.

ყუბანი

უცხოელთა მობილიზაცია

პრესბიუროს ცნობით, ეკატერინოდარის გარნიზონის უფროსმა აღძრა შუამდგომლობა ყველა ლტოლვილის და უცხოელთა მობილიზაციის შესახებ.

ეკატერინოდარში პურის კრიზისია, რადგან პურის შემოტანა შეუძლებელი გახდა—უტრანსპორტობისა და გზების წახდენის გამო. მეპურეთა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა მიიღონ ზომები კრიზისის მწვავე შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ოსმალეთი

ვენიზელოსი ოსმალეთის შესახებ

პარიზში გამგზავრებამდე ვენიზელოსმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მე ვბრუნდები საფრანგეთში პრემიერთა ყრილობაზე. ოსმალეთთან გადაბმულ საბერძნეთის საკითხების გამოსარკვევად. საბერძნეთის თვალსაზრისი აქის შესახებ ოსმალეთის იმპერია ევროპაში არ უნდა არსებობდეს. საბერძნეთი მხარს უჭერს ოსმალეთის ევროპიულ ადგილების ინტერნაციონალიზაციას. ყველა დაინტერესებული სახელმწიფოხი უნდა იდგნენ დარდანელის კარიბჭის მცველებად.

ტრაპიზონში

ტრაპიზონიდან მოსულ სარწმუნო პირის გადმოცემით, დამოკიდებულობა ოსმალთა და ბერძენთა შორის გამწვავებულია. ბერძნებს დაუარსებიათ საავადმყოფო, სადაც მოქმედობენ ბერძენთა მოღვაწენი, რომელნიც ჰმოქმედობენ პონტოსის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. საავადმყოფო ინახება საბერძნეთის მთავრობის ხარჯით, საბერძნეთის წითელი ჯვრის დროშის ქვეშ. ალებ-მიცემობა თითქმის მთლად ბერძნების ხელშია.

(„არ.")

ანარქია მცირე აზიაში

მცირე აზიიდან მიღებულ ცნობებით ამ ჟამად იქ შექმნილია დიდი ანარქია. მუსთაფ ქემალფაშას დაეკარგა გავლენა და მას ახლა წინააღმდეგობასაც უწევენ ჰზელადობს ახმედ ბედ—გავლენიანი პირი ეს დაწყებული მოძრაობა, ეჭვი არ არის, უფრო გაძლიერდება ითილაფის მონაწილეობით.

ახმედ ბედს ერთს წარმომადგენელთაგანს, რომელიც ამ დღეებში მივიდა სტამბოლში, აზრად აქვს დაიწყოს მოლაპარაკება ითილაფის ხელმძღვანელებთან; მან უკვე განაცხადა, რომ საჭიროა ქვეყნის გაწმენდა მუსთაფაქემალის დამქაშებისაგან, განსაკუთრებით კი უნდა გაიწმინდოს პალქესერის რაიონი და იზმით—პანთრმაიდან სომა—ეთრემიტამდე.

„არ"

ბულგარეთი

რადოსლავოვის მომხრეთა დაპატიმრება.

ბულგარეთის მთავრობამ განკარგულება მიახდინა, რათა დააპატიმრონ რადოსლავოვის პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელნი. ოფიციალი პრესა ამ ღონისძიებას აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რადგან ბულგარეთის ომში ჩარევის დამნაშავენი პასუხის გებაში უნდა მიეცნენ.

საფრანგეთი

პუანკარე და კლემანსო.

კლემანსოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა საეჭვოა. შეიძლება კაბინეტი პუანკარეს თავმჯდომარეობით შესდგეს, რომელსაც მეტად უძნელდებოდა ომის დროს კლემანსოს მინისტრთა თავმჯდომარედ მოწვევა. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევამდის პუანკარე კიდეც იყო მინისტრთა თავმჯდომარედ და, თავისით ხელი შეუწყო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოვებას.

შეერთებული შტატები

სამშვიდობო ხელშეკრულობის დამტკიცების გარშემო.

ნიუ-იორკის „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ შეერთებულ შტატებში იწყება და თანდათან იზრდება მოძრაობა სამშვიდობო ხელშეკრულობის დათმობითი პრინციპით დამტკიცების სასარგებლოდ, რომელიც დააკმაყოფილებს მთელ ქვეყანას.

ყველანი იმ აზრის არიან, რომ ზომიერ დამატების მომხრენი გამარჯვებულნი გამოვლენ ლოჯის მომხრეების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლიდან. კორესპოდენტი დასძენს, რომ მან ვერ შეძლო გაგება პოლკ. ზოზო და პრეზიდენტ ვილსონის შორის დამოკიდებულობის შეწყვეტა მომხდარი ფაქტია, თუ არა. ვილსონი და მისი მოწინააღმდეგენი სამშვიდობო ხელშეკრულობის და ეროვნებათა ლიგისწესდების დამტკიცებამ ამერიკის სენატში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია.

ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებანი ისეთ დიდმნიშვნელობისაა, რომ ვილსონს და მის მოწინააღმდეგეთა შორის ჯერჯერობით შეთანხმების ნიშნები არ ჩანს. ხმებია, რომ ვილსონი აპირობს ერთი თვით შვებულების მიღებას, რომლის განმავლობაში მისი თანაშემწე მარშალი ეცდება საკითხის გამორკვევას.

ახალი ამბები

პარტიული ცხოვრება

ქ. ზესტაფონი.

შავი სახადით გარდაიცვალა ეროვნულ-დემოკრატიულ ზესტაფონის სამაზრო კომიტეტის თვალსაჩინო წევრი სიმონ გრიგოლის-ძე ორჯონიკიძე

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ მისალოცი დეპეშები.

დეპეშა საქართველოს წარმომადგენლის ერევანში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი მისალოცი დეპეშები მიიღო: საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლის მოადგილის ერევანში ბ. ყანჩელისაგან: ბრიტანეთის მისიის მეთაურმა ერევანში ბ. გურსსიმ ეს არის ეხლა მაცნობა, რომ მოკავშირეებმა საქართველოს და ადერბაიჯანის დამოუკიდებლობა იცნეს. 11 იანვარს ლორდმა უმაღლეს საბჭოს მიჰმართა წინადადებით, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული. სომხეთის საკითხი გადაწყდება ოსმალეთთან ზავის მიღწევის შემდეგ. ბრიტანეთის მისიის მეთაური მხურვალე მილოცვას გიგზავნით და გულწრფელად სწამს, რომ საქართველო, რომელიც ღირსია თავისუფლებისა დიდ სახელმწიფოთა რიგში ჩადგება და უსურვებს ჩვენს სამშობლოს აყვავებას. აგრეთვე გილოცავთ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისიის მოსამსახურენი, რომელნიც გახარებული არიან მოკავშირეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებით. გულითად სალამს უძღვნიან და მოულოცავენ ჩვენ მთავრობას, საზავო დელეგაციას და ჩვენი ხალხის ყველა ბელადებს, რომელთაც შესძლეს ქარიშხლისა და განუწყვეტელ ბრძოლაში გამობრძმედილ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა.

დეპეშა ბათუმელ კონსულისა

ბათუმიდან, კონსული ჩინიჯიშვილი. გთხოვთ მთავრობის თავმჯდომარეს გადასცეთ ჩვენი საუკეთესო გრძნობები ახალი გამარჯვების გამო. თქვენი სახით მივესალმებით ახალ მსოფლიო ისტორიის მოღვაწეთ, რომლებიც მოწამებრივი თავგანწირულობით ლახავენ ყველა დაბრკოლებებს და წინ მიაქვთ თავისუფლებისა და წარმატების დროშა ერის დიდი შრომით და რჩეულთა მეცადინეობის წყალობით საქართველოს შესვლა ევროპის ხალხთა ოჯახში, როგორც სწორუფლებიან წევრისა და მის მიერ დამსახურებული მისი აღიარება ახალ ძალებს შეგვმატებს ჩვენც დიდი ტაძრის აშენებაში მონაწილეობის მიმღებთ.

დეპეშა სომხეთის მთავრობისაგან.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა მხურვალედ ესალმება უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, და ღრმად დარწმუნებულია, რომ ეს აღიარება გააძლიერებს საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკურ მდგომარეობას და მას საშუალებას მისცემს შემოქმედებითი მუშაობას შეუდგეს, როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საკეთილ-დღეოდ და წარმატებისათვის.

დეპეშა საბერძნეთის მისიისაგან.

თქვენო აღმატებულებავ! საბერძნეთის მისია გთხოვთ საქართველოს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს, აუწყოთ, რომ საბერძნეთის მისია გულწრფელ სიხარულს გრძნობს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო და ძალიან სწუხს, რომ არ შეუძლიან დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომას დაესწრონ მისიის უფ. სტავრიდაკის გარდაცვალების გამო.

სპარსეთის გენერალურ კონსულისაგან

სახელმწიფოთა შორისო ოჯახში საქართველოს ფაქტიურად შესვლის საზეიმო დღეს, მე როგორც თქვენდამი მარად მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს წარმომადგენელი, საქართველოს მთავრობას და ქართველ ერის წარმომადგენლებს გულითადათ მოულოცავ და უსურვებ საქართველოს სახელმწიფოს და ხალხს აყვავებას და კეთილდღეობას. ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ საქართველოს ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი დღე საქართველოში ჩემს წარმომადგენლობის დროს მოხდა.

სოხუმიდან

აფხაზ-ქართველთა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი აღტაცებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას უზენაეს საბჭოს მიერ. დღეიდან იწყება ახალი ხანა ქართველ ერის ცხოვრებაში; დღეიდან სუვერენული საქართველო თამამად შედის განათლებულ სახელმწიფოთა დიდებულ ოჯახში როგორც მისი სწორ-უფლებიანი წევრი; დღეიდან ქართველებმა უნდა გავაჩაღოთ შემოქმედებითი მუშაობა და მედგარი შრომით აღვადგინოთ დანგრეული ეროვნული ტაძარი.

კომიტეტის მონდობილობით: ჯოტი შერვაშიძე, სიმონ ქვარიანი.

ქართველ ისრაელთა მილოცვის დეპეში მთავრობის თავმჯდომარეს

სავსებით ვიზიარებთ რა დიდებულ სიხარულს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო ევროპის მიერ,—ჩვენ ქართველი ისრაელები სხვა ქართველებთან ერთად—სრულის აღფრთოვანებით ვზეიმობთ ამ დიდ ისტორიულ მოვლენას ქართველი ერის ცხოვრებაში და სხვებთან ერთად ჩვენც შევსძახით: ვაშა საქართველოს ბრწყინვალე წარსულსა და დიდება მის დემოკრატიულ მომავალს. იოსებ ხანანაშვილი, დავით ბჯიაშვილი, მიხაკო ხანანაშვილი.

სამხედრო მინისტრის მილოცვა ჯარებისადმი

საქართველოს მხედრობავ. ბატონო კამანდირებო, ჯარის კაცნო და გვარდიელებო; გილოცავთ ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის, თქვენი თავგანწირვა დამოუკიდებლობისათვის დიადი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ჩვენი მშობელი რესპუბლიკა ქვეყანამ იცნო.

თუ ამდენ ხანს საქართველო და მისი მხედრობა თითქოს ობლათა გრძნობდა თავს და ეს გარემოება მაინც ვერ ასუსტებდა თქვენს სიმტკიცესა და მამაცობას, ამიერიდან თქვენი რაზმები კიდევ უფრო გასალკლდებიან და გაათასკეცებული ვაჟკაცობით თავზარს დასცემენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მტერს, ვინც არ უნდა იყვეს ეს მტერი და რა მხრიდანაც არ უნდა მოადგეს იგი რესპუბლიკის საზღვრებს.

თქვენ უკვე მოიპოვეთ გამარჯვება მჭიდროთ რაზმებით და გაიმარჯვებთ მომავალშიაც.

ვაშა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და მის მხედრობას.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

მთავრობაში

ბ. ჟორდანიას დეპეშა პარიზის კონფერენციას

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ პარიზში სამშვიდობო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

მთელი საქართველო და მისი მთავრობა ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ცნობას საქართველოს რესპუბლიკის de facto აღიარებას. მადლობას გიძღვნით რა ამ დიდებული აქტისა საქართველოს ხალხის სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობითი ძალის ნდობისათვის, რომელიც მთელი საუკუნოების განმავლობაში ევროპის კარებთან დარაჯათ ედგა ცივილიზაციური ქვეყნის პროგრესიულ მისწრაფებას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი, როცა მას მხარს დაუჭერს მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოები, მტკიცე კავშირი შეკრას ევროპასთან და გახდეს ღირსეული წევრი იმ დიდ ოჯახის, რომელსაც ამ მძიმე დროს დახმარების ხელი გაუწოდა მას.

სახლის რემონტი.

3 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

დაევალოს შინაგან საქმეთა მმართველს შეიმუშაოს და მთავრობას წარუდგინოს შესაფერი ხარჯთაღრიცხვა მთავრობის სახლის სარემონტო მუშაობის გაგრძელებისა.

აგენტურის მოწყობა ევროპაში.

თამბაქოს სარეალიზაციოდ და პურის საქმის მოსაგვარებლად გაიგზავნოს საზღვარ გარედ მთავრობის წარმომადგენელი ბატონი ქავთარაძე დაევალოს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს წარუდგინოს მთავრობას ახლო მომავალში სქემა და ხარჯთ-აღრიცხვა ევროპაში კომერციულ აგენტურის მოწყობისა.

სადისციპლინო წესდება.

წარმოდგენილი სადისციპლინო წესდების მე—2 და 3 მუხლის რედაქციის გადამუშავება და მთავრობისთვის მოხსენება დაევალოს სამხედრო მინისტრს. მე—48 და 44 მუხლები ამოიშალოს დანარჩენი მუხლები მიღებულ იქმნას უცვლელად.

სხვა და სხვა ამბები

ახალი ბანკი

საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საბჭომ საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საქმეების გამო გაგზავნა: პ. გოთუა ქ. ქუთაისში და ოზურგეთის მაზრაში; დ. კალანდაძე—ბათუმში; ალექსანდრე ასათიანი სოხუმ—ფოთ—ზუგდიდ—სენაკში და დ. ჩხეიძე—კახეთში.

კვირას, 1920 წლის 25 იანვარს, დილის 10 საათზე, ტფილისის სასოფლო—სამეურნეო ბანკის ბინაზე დანიშნულია საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა; საბჭო სთხოვს ხსენებულ დაწესებულებათ ამ ყრილობაზე თვისი წარმომადგენლები გამოგზავნონ შესაფერი მანდატით.

არქეოლოგიურ საზოგადოებაში.

დღეს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს მუზეუმის დარბაზში (ლორის-მელიქოვის ქ. № 10) მოხდება არქეოლოგიურ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება, სადაც, მდივნის და ხაზინადარის წარდგენილ 1919 წლის ანგარიშების და ზოგიერთ ადმინისტრატიულ საკითხების განხილვის შემდეგ, მოსმენილი იქნება შემდეგი რეფერატები: 1) ლეონ მელიქსეტ-ბეკის „არსენ კათალიკოზის (მე-9 საუკ.) ტრაქტატი განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, როგორც ძველი სომეხ-ქართველთა საეკლესიო ურთიერთობისა" და 2) დიმიტრი გორდეევისა „სამეგრელოში შენახული ზოგიერთი ბიზანტიური ამალების აღწერა".

გადამდები ავადმყოფობანი თბილისში

ქრისტეშობისთვის 1--ს ქალაქის საავადმყოფოებში სხვა და სხვა გადამდები სენით ავადმყოფი იყვნენ: შავი სახადით 16, მუცლის სახადით 33, ყვავილით 4, ყელჭირვებით 3, ხუნაგით 5, დიზინტერიით 1. ქრისტეშობისთვის განმავლობაში შავი სახადით 43, მუცლის სახადით 30, ყვავილით 6, წითელათი 8, ხუნაგით 29. სიკვდილის შემთხვევები ამ თვის განმავლობაში იშვიათი იყო.

სამხატვრო ქრონიკა

ვასილ ბარნოვი და ნინო ჩხეიძე.

თბილისის მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოს მეორე საგანგებო ყრილობაზე დ. ონიაშვილის განცხადებით, ყრილობამ გაიხსენა, ბარნოვის მოღვაწეობა ლიტერატურულ დარგში და მსახიობ ნინო ჩხეიძისა სამშობლო სცენაზე, რომელთადმი თავისი ღრმა პატივისცემა ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა ჯეროვან საიუბილეო დღესასწაულების გამართვის ახლო წარსულში, გადასწყდა — ხმოსანთა ყრილობამაც აღნიშნოს მათი ღვაწლი დღესასწაული რაიმე სახით. ბ-ნ ონიაშვილმა სხვათა შორის გაახსენა ყრილობას, რომ ლიტერატორის სამშობლო სოფელი არის თბილისის მაზრის სოფ. კოდა.

ყრილობამ დაადგინა: ეძღვნათ ლიტერატორ ვასილ ბარნოვს და მსახ. ნინო ჩხეიძე სამ-სამი ათასი მანეთი თბილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე საგანგებო ყრილობისაგან და ამასთანავე გაეგზავნოთ სახსოვრად ამა ყრილობის ფოტოგრაფიული (ჯგუფ.) სურათები, ხოლო ვ. ბარნოვის სამშობლოს სოფლის საერობო სკოლას დაერქვას ლიტერატორ ბარნოვის სახელი.

თეატრი

დღეს:

სახელმწიფო თეატრი—„ქეთო და კოტე".

არტისტიული თეატრი — ქართული წარმოდგენა „ყაჩაღები".

პროვინციის ცხოვრება

ს. მცხეთა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დამტკიცების გამო მცხეთის საკათალიკოზო ტაძარში დეკ. ხახუტაშვილის მიერ გადახდილ იქმნა წირვა, რომელზედაც ჰგალობდა ადგილობრივი გუნდი ნ. გიგაურის ლოტბარობით. წირვაზე მამა დეკანოზმა გულითადი სიტყვა წარმოსთქვა დღესასწაულის შესახებ.

საღამოთი ადგილ. პირველდაწყ. სასწავლებელში ბავშვებს შობის ხე გაუმართეს. ბავშვების საღამომ მასწ. ქქ. გიდევანიშვილისა და კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით მეტად კარგად ჩაიარა. შემდეგ ამისა სოფელმა გამართა სანადიმო ვახშამი.

საქართველოს მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობა.

მოწვევის წესრიგი.

1. ყრილობა იკრიბება „მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებელო კავშირის“ თაოსნობით ქ. თბილისში 1920 წელს, 31 იანვარს, დილის 10 საათზე და გაგრძელდება იმავე თვის 22 და 23.

2. ყრილობის წევრობა შეუძლიან საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მრეწველ მეცხვარე-მესაქონლეს, ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს მომწვევ კომიტეტის მდივანს.

3. სამეურნეო საზოგადოებანი, ერობანი, მეცხვარე-მესაქონლეთა კავშირები და ის კოოპერატიულ-საკრედიტო თუ სხვა დაწესებულებანი, რომელთაც კი მეცხვარე მესაქონლეობასთან აქვთ დამოკიდებულება, ყრილობაზე გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

4. ყრილობაზე არ განიხილება არც ერთი მოხსენება, თუ იგი, ერთი კვირით ადრე ყრილობის გახსნამდე არ ჩაბარდება მომწვევ კომიტეტს.

5. ყრილობას ხელმძღვანელობს მომწვევი კომიტეტი, ვიდრე ამორჩეული არ იქნება ყრილობის პრეზიდიუმი.

6. ყრილობის წევრებს ეძლევათ პირადი ბარათი, ყრილობის დაბეჭდილი ანგარიშები და ყოველივე გამოცემა.

7. ყრილობის წევრთათვის მოწყობილ იქნება სხვა და სხვა ფირმა-ქარხნების დათვალიერება.

P. S. ჩაწერა და წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება: მოსკოვის ქუჩა, № 4, დილის 10—12 საათამდე.

პროგრამა: 1 მეცხვარე მესაქონლეობის მდგომარეობა.

1. საქართველოს მეცხვარეობის დღევანდელი მდგომარეობა.
2. საქართველოს მესაქონლეობის დღევანდელი მდგომარეობა.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.

2. საერთო კითხვები მეცხვარე-მესაქონლეობისათვის.

1. ზამთარ-ზაფხულის საძოვრები.
2. გზების საკითხი.
3. მეცხვარეობის დაცვა მტაცებლობისაგან და საზღვრების საკითხი.
4. ცხვარ-საქონლის ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა.
5. სამხედრო ბეგარა და მწყემსობა.

3. ნაწარმოების ბაზარი, ფასები და მონოპოლია. 4. ნაწარმოები.

1. მატყლი: ა). მატყლის სხვა და სხვა ჯურები. ბ) გადარჩევა გარეცხვა. გ.) შინამრეწველობა. დ) ქარხნული გადამუშავება.

1. რძეული: ა). მეყველეობა, ბ). ერბო-კარაქი და სხვა და სხვა ნაწარმოები.

2. ტყავეული.

5. საზოგადო კითხვანი.

1. საყოლი საქონლის დაცვა კანონმდებლობით.
2. მესაქონლე-მეცხვარეთა კავშირები და კოოპერაცია.
3. სახელმწიფოს და ერობათა მიერ მფარველობა და დახმარება მეცხვარე-მესაქონლეობისა.
4. საქონლის დაზღვევა.
5. მეცხვარე-მესაქონლეთა საერთო საბჭო

ფოსტა-ტელეგრაფის გაეროვნება

ძლივს გველირსა განთავისუფლება! ძლივს ამოვიღეთ ხმა თავისუფლად ჩვენს სამშობლო ენაზედ! ძლივს ვავიგონეთ დედა ენაზედ და სკა-ბაასი იმ დაწესებულებებში, სადაც წინად გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღებისა.

მონობის მიზეზებით ქართულს ენაზე ძალაუნებურად ბევრი რამ განუვითარებელი დარჩა, რადგან ბატონის ენაზე გვიხდებოდა წერა-კითხვა, სკა-ბაასი, სამსახურებში მიმოწერა, ყოველნაირი საქმის წარმოება, სწავლა-განათლების მიღება და სხვა... ამასობაში ქართული ენა დაჩლუნგდა.

დღეს კი ჩვენი განთავისუფლების ჟამს, როცა უკვე ჩვენს სამშობლო ენაზედ უნდა ვაწარმოვოთ ჩვენი საქმეები, ყველაფერში ახალად ფეხს ვიდგამთ; სამშობლო ენაზედ ძლივს ვლაპარაკობთ; ზოგნი ვაი-ვაგლახით ვაწარმოებთ საქმეს; ტეხნიკური და განსაკუთრებული სახელები ხომ საქმეს გვიძნელებენ ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო.

ამ 37 წლის წინედ ამ სტრიქონების დამწერი დავაკვირდი რა, ტელეგრაფის მანქანაზე მუშაობას, ვნახე, რომ ქართულად დეპეშების გადაცემა შეუძლებელი იყო, რადგან ქართულ ანბანს არა ჰქონდა არავისაგან შეწყობილი მორზესეული ნიშნები. ვიფიქრე: თუ კი რუსულად, ფრანგულად, გერმანულად შეიძლება დეპეშების გადაცემა, ნუ თუ ქართულად კი არ შეიძლება მეთქი?!

შევადარე ფრანგულ-რუსულ ქართული ანბანი და ტელეგრაფით მათი გადასაცემი ნიშნები და ვნახე, რომ სამსავე ანბანის ბევრი ასოები შეიძლება გადაიცეს ერთი და იგივე ნიშნებით.

მაგალითად:

ქართ.	რუსული	ფრანგული
ა	а	a .—
ბ	б	b —...
გ	г	g ——.
დ	д	d —..
ე	е	e .
ვ	в	v .——
ზ	з	z ——..
ი	и	i ..
კ	к	k —.—
ლ	л	l .—..
მ	м	m ——

და კიდევ სხვა ასოებიც.*)

განსხვავება აღმოჩნდა მხოლოდ განსაკუთრებულ ასოებში; მაგალითად, რუსულად: ѣ, ь, ъ, ю, я, ფრანგულად: a, e, i, q, u და სხვა; ქართულში კი განსხვავებული ასო აღმოჩნდა ათი: თ, ფ, ქ, ღ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჰ.

ბევრნაირად ვტრიალე, ვიფიქრე, შევადარე, გადავშინჯე ევროპიულ ენებზედ შედგენილი ნიშნები გერკესი, შტეინგელისა, და ბენისა და ბოლოს ამ ათ ქართულ ასოს მოვუყენე შემდეგი ნიშნები:

თ — — . — —
ფ . . — .
ქ — . — —
ღ . . — —
ყ — — . —
ძ . — . —
წ — . . —
ჭ . . — . .
ჯ . — — . —
ჰ . — — —

ეს ანბანი დაბეჭდა ვალერიან გუნიამ თავის დიდ კალენდარში 1896 წელს (გვ. 489). შემდეგ 1918 წ. თებერვალს გაზეთ „საქართველო“-ში, რას მოვიფიქრებდი, თუ ჩემი სკოლიდანვე მუდმივი ნატვრა—წადილი ასრულდებოდა და ველირსებოდით იმ ბედნიერ დღეს, ოდეს საქართველო ოდესმე სუვერენულ რესპუბლიკად გარდაიქცეოდა და ამ რესპუბლიკაში სხვათა შორის დეპეშებსაც ქართულად გადასცემდნენ!

მაგრამ მორზესეულ ნიშნებს, ხაზ—წერტილებს ჩვენშიაც ის ბედი ეწვია, რაც ევროპაში. როდესაც მორზემ თავისი მანქანა მოიგონა, იმ მანქანის სახმარებლად შესაფერისი ანბანიც შესთხზა, დაფუძნებული ელექტრონის ძალაზე. ასე რომ ამერიკა მუშაობდა მორზესეულ ნიშნებით. ხოლო როცა 1848 წელს ამერიკელ რობინზონმა ტელეგრაფის მანქანა ევროპაში მოიტანა, აქ გერკემ მორზესეული ანბანი თავისებურად გადააკეთა, იმავე დროს გერმანიეთში ზოგი ხმარობდა მორზესეულ ნიშნებს, ზოგი კი გერკესაგან გადაკეთებულებს. ბავარიაში და ავსტრიაში შემოიღეს შტეინგელის ნიშნები. საფრანგეთში მუშაობდნენ ბენის ნიშნებით. თუ როგორ არევ-დარიეს მორზესეული ნიშნები, საჭიროდ ვრაცხ აქ მოვიყვანო ნიმუშად რამდენიმე ასო, რომელიც დაბეჭდილია ფოსტა-ტელ. ჟურნალში 1902 წელს. გვ. 1156.

მორზ.	გერკე	შტეინგელი	ბენ
a .—	.—	—.—	.—
b. —...	—...	—.—	—.
d —..	—..	—.	..—
e .	.	—	.
f ..—.	..—.	.	.———
h	....	.—	.——
k —.—	—.—	——.	.—.—
m ——	——	...	.—.—
n —.	—.	..	..——

და სხვა და სხვა.

ამ გვარად აირია მორზესეული ნიშნები და ერთ სახელმწიფოს მეორესთან მუშაობა არ შეეძლო, ერთმანეთისა არა ესმოდათ რა.

ამ მიზეზით 1850 წელს ჯერ გერმანეთი და ავსტრია შეთანხმდნენ და ერთნაირ ნიშნებით დაიწყეს მუშაობა; შემდეგ მეორე საერთაშორისო კონფერენციაზედ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც შეთანხმდნენ, და ეხლა ყველა სახელმწიფონი იმ ნიშნებით ხელმძღვანელობენ ერთმანეთთან მუშაობაში, რომლებზედაც შეთანხმდნენ კონფერენციაზედ.

ამიტომ მეც ვეცადე რაც შეიძლებოდა ქართული ანბანის ნიშნები სხვა ერთა ნიშნებთან დაახლოვებული ყოფილიყო. ამის გამო ათ განსაკუთრებულ გამოსათქმელ ასოთა გარდა დანარჩენი ასოების ნიშნები ისევე დავტოვე, როგორც ამას ხმარობენ სხვა ხალხოსნები. მით უფრო რომ ენით სხვა ასოები ჩვენ ასოებთან ერთად ერთნაირად გამოითქმებიან, მაშასადამე მათი გადასხვაფერება საჭირო არ იყო; ეს საქმეს უფრო გაართულებდა და შესწავლაც გაძნელდებოდა; თორემ განა არ შეიძლებოდა ახალი რამ შემოგვეღო შტეინგელ ბენ-ით. მაგალითად;

ა ..
ბ ...
გ —
დ — —

და სხვა და სხვა, მაგრამ ამ ნაირად ასოების გადარევით საქმეს მხოლოდ ზიანს მოუტანდით და მეზობელ ერებთან მუშაობაში ხშირი შეცდომები მოგვივიდოდა. და აი დიდი ხნის ჩემი აზრი ტელეგრაფის გაეროვნების შესახებ უკვე აღსრულებულია, ეხლა საჭიროა ჩვენი ტეხნიკოს მეხანიკოსები ეცადნენ თანდათან სახელები უცვალონ სხვა და სხვა საგნებს, მანქანებს, მათ ნაწილებს და ხმარებაში შემოიღონ იგინი. უნდა შეიმუშაონ ტერმინები, რომ ყველა საგანს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდეს, რასაკვირველია ყველა ეს ერთ-ორ დღეში, თვეში და წელში ვერ მოხერხდება, მაგრამ თანდათანობით ყველაფრის გადაკეთება უეჭველად საჭიროა,

მათე იანქოშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. ჩემი წიგნაკი „ელექტრონი და საოცარი მანქანები“ გვ. 21.

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

მედიცინის დოქტორი
ზ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან შესავალი ქუთხიდან ეკლესიის ქ. № 1,
50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
გ. გ. მეჰრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში.. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვის აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
ქებულიანი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
ჯაღანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტუშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევ. საათ 25—2536—1

ივ. ზურაბიშვილი.

ქაჯი

ნოველლა უგო ოიეტტისა.

(დასასრული).

მთელის კვირის განმავლობაში ერთხელ არ მოინდომა ოთახიდან გამოსვლა. როდესაც მარტოკა რჩებოდა, ადგებოდა ხოლმე, ჩაჯდებოდა სავარძელში, და მუდამ ჩაუცმელი და წითელის ფოსტლებით ტიტველა ფეხებზე სწევდა თუთუნს, კითხულობდა, ამთქნარებდა და როდესაც, საუზმის დროს თუ სადილობისას, შემოვიდოდა ხოლმე სერაფიმა, იმწამსვე ლოგინში წვებოდა, რათა უფრო ღირსეულად მიეღო მამიდა.

— ფანჯრები მიხურე მაინც, თუ ეგრე ჩაუცმელი გინდა იყო.

— იმის შიში ხომ არა გაქვს, რომ ღრუბლები ითაკილებენ, ჩაუცმელს რომ დამინახვენ?

ერთ დილას გამოუცხადა, უქიფოთა ვარო:

— ექიმი მომიყვანეთ, ეხლავე.

— მაშ გადიცვი ტანისამოსი.

— ექიმისთვის, მამიდა? ექიმები ხომ კაცები არ არიან.

და როდესაც მოვიდა ექიმი, ვინმე სიცილიელი, უზარმაზარი და ჩუმი, ოცდა-თხუთმეტის წლისა, მელოტი და ბეცი, ერთი კვირის წვერ-გაუპარსავი, პეპპინამ მოინდომა მარტოკა დარჩენა მასთან. როდესაც ექიმი წავიდა, პეპპინამ მიჰმართა მამიდას და თან თვალების კუთხეებში სიცილი ეპარებოდა:

— იცი, მამიდა? შენ ძლიერ მოსწონხარ ექიმს.

— სისულელეს ნუ ამბობ.

— სისულელეს შენ ამბობ თითონ. შენ ჯერ კიდევ ლამაზი ქალი ხარ, მოსული, მაგარი, კარგად მოყვანილი.

— მე მოხუცებული ვარ.

— ორმოცი წლისა? რას ამბობ! ქალაქში ორმოცი წლის ქალი გაშლილი ვარდია ნამდვილი. ქალი ყოველთვის ქალია და არას დროს არ ბერდება: ამაშია მათი უპირატესობა კაცებზე.

მეორე დღეს პეპპინა განაგრძობდა.:

— სწორედ სულელი იქნები, თუ ხელიდან წაგივიდა.

და ორი დღის შემდეგ:

— დღესაც გამიმეორა, მომწონსო.

ამ ლაპარაკით იქამდისინ მიიყვანა, რომ სერაფიმა აღარ ბედავდა უწინდებურად პეპპინას ოთახის კარამდის ექიმის მიცილებას.

თითქო დარწმუნებულიც იყო, რომ ეგ ამბავი ამ ქაჯ-გოგოს მოგონილი იყო, მაგრამ ამიერიდან ექიმთან ლაპარაკის დროს, ან როდესაც მასთან ერთად ადიოდა კიბეზე, სერაფიმა გრძნობდა რაღაცას, მაგრამ რას, არც თითონ იცოდა... ნეტა ანჯელიკა მაინც მოინდომებდეს და აპატიებდეს პეპპინას!.. მაშინ ხომ ერთად მიაცილებენ ხოლმე ექიმს პეპპინას ოთახამდე. მაგრამ ანჯელიკა, პირველად თავის სიცოცხლეში, შეუწყალებელი ჩანდა, ცოტას ლაპარაკობდა და ძმისწულს სრულებით არ ახსენებდა. როდესაც პეპპინამ განაცხადა, რომ მისმა რაღაც საიდუმლობით მოცულმა ავადმყოფობამ გაიარა, სერაფიმამ ურჩია:

— დროა ბოდიში მოიხადო მამიდა ანჯელიკასთან.

— რისი ბოდიში?

— რისი და შეურაცხყოფა რომ მიაყენე, რაც რომ მის ხმის შესახებ სთქვი...

— განა ტყუილია? შენ არ დამითან ხმები, მაგრამ ნამდვილი ინდაურის ხმა აქვს, კუდს რომ გაშლის და ახმაურდება,—და მოკლე ქვედა-კაბის ამარამ ჩამოუარა ოთახს, მამიდა ანჯელიკას ხმისა და მიხვრა-მოხვრის მიბაძვით.

— არ იცი განა, რატომ არ მცემს ხმას? იმიტომ რომ, გააღებს პირს თუ არა, ჩემი სიმართლე დამტკიცდება. დიდი უბედურებაა, იცი, მაგისთანა ხმა.. ვინ იცის რამდენი ყოფილა ისეთნი, რომ დიდის სიამოვნებით მოვიდოდა შენთან თითოოდ საათის გასატარებლად, მაგრამ შორს დაუჭერიათ თავი იმის შიშით, ანჯელიკამ ყურები არ გამოგვიჭედოს თავისი ხმითაო. შემიძლია სახელები ჩამოგითვალო კიდეც.

საღამოს, მინამ ლოგინში ჩაწვებოდა, სერაფიმა, რომელიც ისედაც კეთილი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში ისე მოლბა, რომ მზად იყო ქვისთვისაც ეკოცნა, შეეცადა თავის დის მოლბობასაც.

— აპატიე, ეხლა დაწყნარდა. იმ დილას არ იცოდა, რას ამბობდა. აბა, შენ თითონ წარმოიდგინე: ისეთ ნაირად მოშორება ადამიანს, რომელსაც უყვარდა...

— შენც შეიშალე,—დაიწყო ანჯელიკამ, მაგრამ ერთბაშად გაჩუმდა, თითქო სენად გადაიქცა. მოუსმა თავისი წრიპინა და უგემური ხმა და ვეღარ ბედავდა განგრძობას. შემდეგ შეხედა თავის დის სახეს და მიხვდა, რომ მასაც შეპარვოდა იჭვი, ჩემი წინააღმდეგიც ხომ არ არისო, და დაიწყო ტირილი. და მეორეც დაიწყო ტირილი იავისსა და თავის დის ბეჭის შეახებ, დაუწყო კოცნა და ჭაღარა თმაზე ხელს უსვამდა. ანჯელიკა შეეცადა უფრო დაბალის ხმით ლაპარაკს და თავის სიტყვების ხმა ეხლა აღარ ეჩვენებოდა ისე სასაცილო:

— იმდენი ცუდი გიყავი მე იმით, რომ მუდამ შენთან ვიყავ. ჰო, ჰო... მე გაგიფუჭე სიცოცხლე. იმის შიშით, რომ ჩემს გვერდით უნდა ეცხოვრნათ, კაცები შენც გაგირბოდნენ, თუმცა შენ ლამაზი იყავი, ახალგაზდა და მხიარული...,

და ცრემლით სავსე თვალებით უყურებდა სერაფიმას და ელოდა, რომ ის წინააღმდეგობას გაუწევდა ასეთს აზრს. მაგრამ სერაფიმა სდუმდა და განაგრძობდა ტირილს ისეთ ნაირად, რომ ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდა. და ამ სიჩუმეში მეორე უფრო მოლბა. ბოლოს სერაფიმამ წაიჩურჩულა:

— ეხლა...

— ვიცი, ეხლა გვიანღაა,—კვერი დაუკრა ანჯელიკამ.

— ვინ იცის?... და თავის დის ლოგინზე ჩამომჯდარი, თვალებ დაშვებული, სერაფიმა ასწორებდა თავის შავის წინსაფარის ნაოჭებს და უამბობდა დას, რაც კი უთხრა მისმა ძმისწულმა ექიმის შესახებ. და ნუგეშმოცემულმა უფროსმა დამ შეიშრო ცრემლი და გაგონილი ამბავი ადვილ შესაძლებლად იცნო. ექიმი მარტოხელი კაცი იყო, მუყაითი, დიდად პატივცემული, მხოლოდ ხუთის წლით ახალგაზდა სერაფიმაზე, და არც ხუთით, მხოლოდ ოთხით, რადგან სერაფიმა ჯერ არც კი იყო სრულის ორმოცის; მხოლოდ სამის წლით, მართალი რომ ვსთქვათ, რადგან შესაძლებელი იყო, რომ ექიმს რამდენიმე თვეა, რაც გაუთავდა ოცდახუთმეტი. და როდესაც სერაფიმა წავიდა თავის ოთახში და ტანთ გაიხადა ანჯელიკაც შეჰყვა და მიეჯდა საწოლს.

— ბევრად უფრო ახალგაზდა სჩანხარ, ვიდრე წლოვანებითა ხარ. არც ერთ ოცი წლის ქალიშვილს არ ექნება ასეთი დამრგვალებული და თეთრი მკლავები... თმაშიაც არც ერთი თეთრი არ გირევია... კბილებიც ყველა მთელი და თეთრი გაქვს და თუ წაყვები მას, იცოდე, მარტოკა შენ წახვალ, უჩემოდ...— და ანჯელიკა აღარ სტიროდა მეტს.

სერაფიმას უბრწყინავდა თვალები, და რამდენისმე საათის განმავლობაში, როდესაც სინათლე ჩამქრალი იყო, თვალი არ დაუხუჭავს.

მეორე დღეს დილით, მინამ სერაფიმა ჯერ კიდევ ძილისაგან გამოურკვეველი, თმას ივარცხნიდა, გაჩნდა პეპპინა, პაპიროზით პირში, გძელ კორსეტ შემოჭერილი, ლამაზი, ვარდისფერი, ისეთის სახით, თითქო არა მომხდარიყო რა და ანჯელიკასთან საბოდიშო არა ჰქონოდა რა.

— დილა მშვიდობისა, მშვენიერო მამიდებო! მამიდა სერაფიმა, მოდი მე დაგვარცხნი,—და აქ ჩამოსწია თმა, იქ მაღლა აიღო, შემოახვია სერაფიმას მშვიდ სახეს გარშემო, დაუხუჭუჭა და მთელ ამ მუშაობის დროს ერთხელ არ გაიცინა.

შემდეგ პინცეტით მოაშორა რამდენიმე დაცვენილი თმა, წაუსვა პუდრი, შეასხურა ოდეკოლონი, ერთის სიტყვით ისეთ ნაირად მოკაზმა, რომ როდესაც საღამოს პეპინას შესახებ ამბის გასაგებად მოსული ექიმი შინ გაბრუნდა, იმავ ანჯელიკას შეეძლო წაეჩურჩულებინა თავის დისათვის.

— მართალი ყოფილა: სხვანაირად გიყურებდა...

მაგრამ ძმისწულთან კი სცხვენოდა ამის შესახებ ლაპარაკი.

ექიმის იმედების შესახებ ცნობებს პეპპინა აწვდიდა სერაფიმას, ეს კი თავის დას, მაგრამ სამივე, რომ ერთად შეიყრებოდნენ, თუმცა ლა მუდამ სიყვარულზე ჰქონდათ ლაპარაკი, მაგრამ მხოლოდ პეპპინას სიყვარულზე. და ასეთ ამაღელვებელ ბაასის დროს თითქო ხელმეორედ უბრუნდებოდა ამ ორ ხან გადასულ ქალწულის სახეებს ახალგაზდობა, ცოტა არ იყოს სასაცილო და თან ნაღვლიანი. ანჯელიკა გულდასმით უგდებდა ყურს და თან ნამდვილ დათვესავით იქნევდა აქეთ-იქით თავს; აღელვებული სერაფიმა კი ისე ღრმად ითქვამდა სულს თავისის მძლავრის მკერდით, თითქო ქარი ჰქრისო.

— მერე როგორ გაბედე მასთან წასვლა?—ეკითხებოდნენ პეპპინას.

— სამის თვის განმავლობაში უარს ვეუბნებოდი. მაგრამ, როდესაც გავიგე, ავად არისო...

— დარწმუნებული იყავი, რომ იმ ღამეს ავად იყო?

— შემომფიცა, ავადა ვარო.

— მამა-კაცს არ უნდა დაუჯერო.

— სწორედ! მაშინ ადგება და იმისკენ მიიქცევა, ვინც დაუჯერებს.

მთელის საათობით ბაასობდნენ ამნაირად, და როდესაც პეპპინა თავის ოთახში ადიოდა, ორივე დები განაგრძობდნენ ძმის-წულის საშინელ აზრების განმარტებას; სერაფიმა ამართლებდა და ანჯელიკა კი ამტყუნებდა:

— ეხლა კი იტანჯება, რადგან შეყვარებულია, ის, მეორე კი ვინ იცის ვიზედ ჰფიქრობს ამ წამს...

ძლივს ერთმა თვემ გაიარა, რაც პეპპინა ჩამოვიდა, ანჯელიკას წერილი მოუვიდა მის ძმისაგან; სტუდენტის მშობლები დასთანხმებიან შვილის თხოვნას და პეპპინას მიცემას მოითხოვენო; შეუძლია პეპპინას ამ სადა მოსვე დაბრუნდეს რომშიო. ორივე და გაეშურა მისკენ

— პეპპინა, პეპპინა! თხოვდები. პეპპინამ არც კი მოიხედა და განაგრძობდა თავის ბარგის შეკვრას.

— რას აკეთებ?

— მივდივარ, ვანოს მამა დასთანხმებულა.

— ჰო, მაგრამ შენ კი საიდგან გაიგე?

— მე ვანომ მომწერა.

— წერილი ვიღამ მოგცა?

— წერილი? ექიმმა. ამ ერთის თვის განმავლობაში ყოველ დღე მოჰქონდა თითო წერილი. ერთის ქვეყნისა არიან, ორივე სიცილიელები, ორივე ექიმები...

სერაფიმმა გაფითრდა, ანჯელიკა კი გაწითლდა.

— ეგ იყო მაშ შენი ავადმყოფობა?

— ეგ იყო,—და მეტი აღარ მოისურვა არც ლაპარაკი, არც საღამოს მატარებლისთვის მოცდა, ერთის საათის უკან გასწია არეცოში ჩქარი მატარებლის მისასწრებლად და მამიდებს ძლივს აკოცა, ხოლო მადლობის ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

— მთელ დღეს კრინტი არ დაუძრავთ ორ დასა. მაგრამ საღამოს, იმ ხანს, როდესაც ჩვეულებრივ მოდიოდა ექიმი, ორივენი მიადგნენ ოთახის ფარდებს ამოფარებოდნენ და მოლოდინში იყვნენ. მთვარის სინათლეზე [illegible]. შორიდგან გაარჩიეს იმის ფეხის ხმა, ვინც ჩვეულებრივ საქმეს ასრულებდა, უვლიდა თავის ავადმყოფებს. ჩაუარა ფანჯარას გაუჩერებლივ და არც შემოიხედა და არც ყური ათხოვა ამ ორ გულის ცემას. სერაფიმა დაეშვა სავარძელზე და დაიწყო ქვითინი; ანჯელიკამ არ იცოდა კი, რა ეთქვა, რომ ნუგეში ეცა. დარჩენოდათ ეცქირნათ თეთრ შარა-გზისათვის, ბოსტნის კედლისათვის და რამდენისამე ვარსკვლავისათვის. მთვარე ისეთი ნათელი იყო, რომ კაცი ქუჩაში ქვას დასთვლიდა.

— უყურე,—წაიჩურჩულა ერთბაშად ანჯელიკამ და გაჰყო თავი ფანჯარაში.

— რა არის?

— შავი დედალი კატა ჩვენის მეზობლის წითელ კატას მიახლოვებია..

— სადა, სად?

— აი, ეგერ, კედელთან.

— იჰ, ჩემო კარგებო...

— სუ, ჩუმად, თორემ დაფრთხებიან.

და ორივე და დარჩნენ ფარდებს უკან ამოფარებულები და სიჩუმეში თვალს არ აშორებდნენ კატებს; თანაც კვნესოდნენ და ჩუმად ხითხითებდნენ.

სტამბა „ცხოვრება“ გაზავილის შესახვევი №4.